

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს
2023 წლის სამუშაო გეგმა

1. ფრაქციის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი - თებერვალი);
3. ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემებისა/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ (იანვარი - თებერვალი);
4. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (თებერვალი-მარტი);
5. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ (თებერვალი - მარტი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (მარტი-აპრილი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (აპრილი-ივნისი);
8. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022-2023 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (ივნისი-ივლისი);
9. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ (აპრილი-ივლისი);
10. ინფორმაციის მოსმენა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ (ივლისი - აგვისტო);
11. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ (ივლისი - სექტემბერი);
12. . 2023 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის განხილვა (წლის განმავლობაში);
13. მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა განხორციელებულ და მიმდინარე საქმიანობაზე (წლის განმავლობაში);
14. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ანგარიშების მოსმენა განხორციელებულ და მიმდინარე საქმიანობაზე (წლის განმავლობაში);
15. ფრაქციის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).